შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 60/22

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“ (ID 202235296)
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„18“ მარტი 2022წ

საექსპერტო შეფასება (დასკვნა)

ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის, მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ, ნაკვ. 10/005 ; ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილზე, ქარხანა „ელექტროავტომატი“-ს მიმდებარედ, შ.პ.ს. „ჯდ კაპიტალი“-ს (ID: 405401747) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი №01.18.10.003.079 (ნაკვეთის წინა ნომერი: № 01.18.10.003.071) ასაშენებელი ავტოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მრავალფუნქციური კომპლექსის ობიექტების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია: ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის, მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ, ნაკვ. 10/005 ; ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილზე, ქარხანა „ელექტროავტომატი“-ს მიმდებარედ, შ.პ.ს. „ჯდ კაპიტალი“-ს (ID: 405401747) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.18.10.003.079 (ნაკვეთის წინა ნომერი: № 01.18.10.003.071) ასაშენებელი ავტოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მრავალფუნქციური კომპლექსის ობიექტების პროექტის:

1. კონსტრუქციული ნაწილი, ელექტრონული ვერსიის სახით;
2. არქიტექტურული ნაწილი, ელექტრონული ვერსიის სახით;
3. სამშენებლო მოედნის ტოპოგადაღება და გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალები;
4. კონსტრუქციული ნაწილის ანგარიშები, შესრულებული პროგრამული კომპლექსის „ Lira-SAPR 2021 R1.1 “-ის საშუალებით, ელექტრონული ვერსიის სახით.

დამკვეთი:	**შ.პ.ს. „ჯდ კაპიტალი“-ს (ID: 405401747)**
საპროექტო ორგანიზაცია:	**შ.პ.ს. „ინტექსი“ (ID: 211349753)**
პრ. მთ არქიტექტორი:	**ა. კვარაცხელია**
პრ. მთ კონსტრუქტორი:	**ი. კაიფაჯიანი**
ექსპერტი-კონსტრუქტორი:	**ვახტანგ ჯაფარიძე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“**

ავტოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მრავალფუნქციური კომპლექსის ობიექტებია:
ობიექტი №1 – ავტოგასამართი მოედნის ფარდული;
ობიექტი №2 – საწვავის მიწისქვეშა რეზერვუარის რკინა-ბეტონის სარკოფაგი;
ობიექტი №3 – ავტოგასამართი სადგურის საოპერატორო და მარკეტის შენობა;
ობიექტი №4 – სწრაფი კვების ობიექტი;
ობიექტი №16 – ავტოტექდათვალიერების, ავტოსამრეცხაოებისა და საოფისე შენობა.

სამშენებლო მოედანი ხასიათდება შემდეგი გეოფიზიკური და კლიმატური მონაცემებით:
- სეისმურობა 8 ბალი (MSK 64 სკალის მიხედვით, ქალაქი თბილისი, მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას, ჰორიზონტალური აჩქარება A=0.17g)
- ქარის ნორმატიული დაწნევა 85 კგძ/მ^2;
- თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა 50 კგძ/მ^2;
- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, საძირკვლების ფუძედ მიღებულია თიხნარი გრუნტი, პირობითი საანგარიშო წინაღობით კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Ro=2,25კგ/სმ^2; დეფორმაციის მოდულით: E=200კგძ/სმ^2.

ობიექტი №1 – ავტოგასამართი მოედნის ფარდული

ფარდული წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას, მისი ლითონის სვეტები დამონტაჟებულია საწვავის მიწისქვეშა რეზერვუარის რკინა-ბეტონის სარკოფაგის გადახურვის რკ/ბეტონის კოჭებზე, ჩასატანებელი დეტალების და ანკერების საშუალებით. ფარდულის გადახურვა მართკუთხედის ფორმისაა, გაბარიტული ზომებით: 14,30X6,60მ. ფარდულის გადახურვა ეყრდნობა ლითონის ოთხ სვეტს, რომლებიც განთავსებულია „A“ ღერძზე. სვეტების ბიჯი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 2,00მ; 5,00მ და 2,00მ; ნაგებობს მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 6,10მ.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით ნაგებობა ლითონის კარკასული ტიპისაა.

<u>ფარდულის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება:</u>

- სვეტები დაპროექტებულია შველერის პროფილის ფოლადის შეწყვილებული კოჭებისაგან: 2[30;
- გადახურვის ძირითადი კოჭები დაპროექტებულია ორტესებრი პროფილის ლითონის კოჭებისაგან: I30;
- სახურავი დაპროექტებულია ლითონის ფერმებისაგან, ფერმების ელემენტები: ქვედა სარტყელი, ზედა სარტყელი, დგარები და ირიბანები დაპროექტებულია შველერის პროფილის ფოლადის შეწყვილებული კოჭებისაგან: 2[10;

ობიექტი №2 – საწვავის მიწისქვეშა რეზერვუარის რკინა-ბეტონის სარკოფაგი

საწვავის მიწისქვეშა სარკოფაგი წარმოადგენს მონოლითური რკ/ბეტონის მიქისქვეშა ნაგებობას. ნაგებობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, გაბარიტული ზომებით: 14,40X4,80X4,80(h)მ.

<u>სარკოფაგის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება:</u>

- სარკოფაგის ძირი დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 50სმ;
- სარკოფაგის კედლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით 30სმ;
- სარკოფაგის გადახურვა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით 20სმ;
- სარკოფაგის გადახურვის კოჭები, რომლებსაც ეყრდნობა ფარდულის ლითონის სვეტები, დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 70X80(h)სმ.

ბეტონის საპროექტო კლასი შეადგენს: B25; არმატურების საპროექტო კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში: A-500C და A-240

ობიექტი №3 – ავტოგასამართი სადგურის საოპერატორო და მარკეტის შენობა

ავტოგასამართი სადგურის საოპერატორო და მარკეტის შენობა წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას, სარდაფის გარეშე. შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, გაბარიტული ზომებით ღერძებს შორის: 21,60X6,60მ. სართულის სიმაღლე შეადგენს: 3,80მ. სვეტების მაქსიმალური ბიჯი (მალი) გრძივი მიმართულებით შეადგენს: 5,60მ სვეტების მაქსიმალური ბიჯი განივი მიმართულებით შეადგენს: 6,60მ; კონსტრუქციული სქემის მიხედვით ნაგებობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა.

<u>ავტოგასამართი სადგურის საოპერატორო და მარკეტის შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება:</u>

- შენობის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ლენტური ტიპის სახით, მართკუთხა განივი კვეთებით: 60X50(h)სმ; 40X50(h)სმ; საძირკვლების ქვეშ ეწყობა ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 5სმ, B10 კლასის ბეტონისაგან.
- იატაკის ფილა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით 16სმ. იატაკის ფილის ქვეშ ეწყობა ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 5სმ, B10 კლასის ბეტონისაგან.

- სვეტები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 30X30სმ;
- რიგელები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთით: 30X50(h)სმ;
- I სართულის გადახურვის ფილა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან კოჭოვანი ტიპის სახით, სისქით 15სმ;
- გარე კედლები წარმოადგენს კარკასის (ჩონჩხედის) შევსებას, ისინი „პემზობეტონის“ მცირეგაბარიტიანი ბლოკების წყობისაა, სისქით 20სმ, პროექტში გათვალისწინებულია კედლების ჩამაგრება კარკასის ელემენტებთან (სვეტებთან).
- სახურავი ბრტყელი ტიპისაა, მცირე ქანობით, რულონური მასალების ბურულით.

ბეტონის საპროექტო კლასი შეადგენს: B25; არმატურების საპროექტო კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში: A-500C და A-240.

ობიექტი №4 – სწრაფი კვების ობიექტი

სწრაფი კვების ობიექტი წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას, სარდაფის გარეშე. შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, მცირე შეჭრით, გაბარიტული ზომებით ღერძებს შორის: 24,75X17,20მ. სართულის სიმაღლე შეადგენს: 4,50მ. სვეტების მაქსიმალური ბიჯი (მალი) გრძივი მიმართულებით შეადგენს: 7,00მ სვეტების მაქსიმალური ბიჯი განივი მიმართულებით შეადგენს: 6,90მ; კონსტრუქციული სქემის მიხედვით ნაგებობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა.

<u>სწრაფი კვების ობიექტის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება:</u>

- შენობის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 30სმ; საძირკვლის ფილის ქვეშ ეწყობა ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ, B-10 კლასის ბეტონისაგან;
- იატაკის ფილა შეთავსებულია საძირკვლის ფილასთან;
- სვეტები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 40X40სმ; 40X60სმ;
- რიგელები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთებით: 40X80(h)სმ; 40X300(h)სმ პარაპეტის ჩათვლით;
- I სართულის გადახურვის ფილა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან კოჭოვანი და ურიგელო ტიპის სახით, სისქით 20მ, ურიგელო ნაწილში ფილის ქვეშ სვეტების თავზე მიწყობილია კაპიტელები 190X190X30(h)სმ;
- კედლები წარმოადგენს კარკასის (ჩონჩხედის) შევსებას, ისინი „პემზობეტონის“ მცირეგაბარიტიანი ბლოკების წყობისაა, პროექტში გათვალისწინებულია კედლების ჩამაგრება კარკასის ელემენტებთან (სვეტებთან).
- სახურავი ბრტყელი ტიპისაა, რულონური მასალებით.

ბეტონის საპროექტო კლასი შეადგენს: B25; არმატურების საპროექტო კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში: A-500C და A-240.

ობიექტი №16 – ავტოტექდათვალიერების, ავტოსამრეცხაოებისა და საოფისე შენობა.

ავტოტექდათვალიერების, ავტოსამრეცხაოებისა და საოფისე შენობა წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას, სარდაფის გარეშე. შენობა გეგმაში „Г“-ს ფორმისაა, გაბარიტული ზომებით ღერძებს შორის: 29,70X11,50მ. I სართულის სიმაღლე შეადგენს: 3,91მ. II სართულის სიმაღლე შეადგენს: 2,86მ. . სვეტების მაქსიმალური ბიჯი (მალი) გრძივი მიმართულებით შეადგენს: 5,10მ სვეტების მაქსიმალური ბიჯი განივი მიმართულებით შეადგენს: 6,10მ; კონსტრუქციული სქემის მიხედვით ნაგებობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა.

<u>ავტოტექდათვალიერების, ავტოსამრეცხაოებისა და საოფისე შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება:</u>

- საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ლენტური ტიპის სახით,

GEORGIA. "BAZIS" 202235

მართკუთხა განივი კვეთებით: 60X50(h)სმ; 40X60(h)სმ; 80X60(h)სმ; საძირკვლების ქვეშ ეწყობა ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ, B10 კლასის ბეტონისაგან.

- იატაკის ფილა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით 15სმ და 20სმ. იატაკის ფილის ქვეშ ეწყობა ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ, B10 კლასის ბეტონისაგან.
- სვეტები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთით: 40X40სმ;
- რიგელები დაპროექტებულია მონოლით. რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთით: 40X46(h)სმ;
- სართულშუა გადახურვის ფილები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან კოჭოვანი ტიპის სახით, სისქით 16სმ;
- კიბის უჯრედები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის მარშებით, ბაქნებით და საფეხურებით. კიბის პანდუსის ფილის სისქე შეადგენს 16სმ;
- კედლები წარმოადგენს კარკასის (ჩონჩხედის) შევსებას, ისინი „პემზობეტონის“ მცირეგაბარიტიანი ბლოკების წყობისაა, პროექტში გათვალისწინებულია კედლების ჩამაგრება კარკასის ელემენტებთან (სვეტებთან).
- სახურავი ბრტყელი ტიპისაა, მცირე ქანობით, რულონური მასალების ბურულით.

ბეტონის საპროექტო კლასი შეადგენს: B25; არმატურების საპროექტო კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში: A-500C და A-240.

ავტოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მრავალფუნქციური კომპლექსის საპროექტო ობიექტების: ავტოგასამართი მოედნის ფარდულის; საწვავის მიწისქვეშა რეზერვუარის რკინა-ბეტონის სარკოფაგის; ავტოგასამართი სადგურის საოპერატოროს და მარკეტის შენობის; სწრაფი კვების ობიექტის; ავტოტექდათვალიერების, ავტოსამრეცხაოებისა და საოფისე შენობის გაანგარიშება შესრულებულია პროგრამული კომპლექსის:

„Lira-SAPR 2021 R1.1“-ის საშუალებით, 8 ბალიანი სეისმურობისათვის (MSK64 სკალის მიხედვით, ჰორიზონტალური აჩქარება A=0.17). საპროექტო ობიექტების მზიდი კონსტრუქციების გეომეტრიული ზომები, პროფილები, ბეტონის კლასი და არმირება დაპროექტებულია შენობების მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგების მიხედვით. გენგეგმაზე განთავსებული სხვა ობიექტები წარმოადგენენ მზა, ქარხნული წესით დამზადებულ ნაკეთობებს და დანადგარებს, რომლებიც არ საჭიროებენ კონსტრუქციულ ნახაზებს.

<u>დასკვნა:</u>

ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის, მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ, ნაკვ. 10/005 ; ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილზე, ქარხანა „ელექტროავტომატი“-ს მიმდებარედ, შ.პ.ს. „ჯდ კაპიტალი“-ს (ID: 405401747) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.18.10.003.079 (ნაკვეთის წინა ნომერი: № 01.18.10.003.071) ასაშენებელი ავტოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მრავალფუნქციური კომპლექსის ობიექტების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საკმარისი მოცულობით, საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობაში.

პროექტის გრაფიკული ნაწილისა და შენობების ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგების ანალიზის საფუძველზე ექსპერტიზა დადებით შეფასებას აძლევს ავტოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მრავალფუნქციური კომპლექსის ობიექტების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს და რეკომენდაციას უწევს მას მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი, კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე/





ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე, გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე, , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ჯაფარიძე ვახტანგ ჟივის ძეს მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1985 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ. „3" დადგენილებით მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986 წ. „29" 05

1276

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан Джапаридзе Вахтангу Живиевичу в том, что он в 1980 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина и в 1985 году окончил полный курс названного института по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от ... 1985 г. присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

М. П.

Город Тбилиси „29" 05 1986 г.

Регистрационный № 1276

Georgia IDENTITY CARD
საქართველო
GEO



სახელი / FIRST NAME
ვახტანგ
VAKHTANG

გვარი / LAST NAME
ჯაფარიძე
JAPARIDZE

მოქალაქეობა / CITIZENSHIP: GEO
სქესი / SEX: მ / M
პირადი No / PERSONAL No: 01005021796

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH: 10.06.1963
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY: 26.06.2026

ბარათის No / CARD No: 15IC19267
ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
26.06.2016

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

IDGE015IC192675010050217 96<<<<
6306106M2606266GEO<<<<<<<<<<<1
JAPARIDZE<<VAKHTANG<<<<<<<<<<<

ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტ“-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ საკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა“-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ“-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი“-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი“-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS“-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსრტუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი №01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/

საქართველო. შპს "ბაზისი XXI" GEORGIA. "BAZISI XXI" LTD 202235296

შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	შ.პ.ს. „ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	36 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	21 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2021წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალ-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	18.03.2022წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება

მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი ვახტანგ ჯაფარიძე

სახელმწიფო ლიცენზია

სლს № 4127

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განხორციელებაზე

ეძლევა შპს „ბაზისი XXI“

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის № 63-ა

მასზედ, რომ მას აქვს უფლება განახორციელოს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა დანართში მოცემულ სახეობებში.

ლიცენზია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე

განსაკუთრებული პირობები

ლიცენზიის მოქმედების ვადა
ლიცენზია გაცემულია
11122004წ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების
მინისტრის მოადგილე, სპეციალიზებული მუდმივმოქმედი
სალიცენზიო-სანებართვო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ლეჟავა

საქართველო, შპს „ბაზისი XXI“ GEORGIA, "BAZISI XXI" LTD 202235296

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაზე
№4177 სახელმწიფო ლიცენზიის
დანართი

ჩამონათვალი

საპროექტო – სამშენებლო საქმიანობის სახეებისა,
რომელთა განხორციელების უფლება ეძლევა
შპს-ს „ბაზისი XXI“

1. *საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაპროექტება (მ.შ. ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და რეკომენდაციების დამუშავება):*
   - საცხოვრებელი შენობები:
   ბ. ხუთსართულიანი (მანსარდის ჩათვლით);
   - საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები:
   ბ. ხუთ სართულამდე ან 18 მ. სიმაღლის და დახურული საშუალო სირთულის კონსტრუქციის დარბაზები.
2. *სამრეწველო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობათა დაპროექტება:*
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;
   - სამრეწველო ობიექტები:
   ა. მცირე სიმძლავრის.
3. *პროექტების ექსპერტიზა:*
   - საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები.
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;

გაცემულია 2004 წლის 14 დეკემბერს.

სპეციალიზებული მუდმივმოქმედი
სალიცენზიო-სანებართვო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ალბერტ ჯანელიძე

საქართველო. შპს "ბაზისი XXI" LTD 202235296 GEORGIA "BAZISI XXI"